

ზაზა-ზარბაზანი ფილადელფიანსთან-15 ნიუ იორკთან-22 ორლანდოსთან-17 კლივლენდთან-19



ზაზა ფაჩულია „ატლანტასთვის“ ერთგვარ ბურჯად და სტაბილურობის გარანტიად იქცა. ყველამ იცის, რომ ახმახი უცხოელი თავის საქმეს გააკეთებს და ყველა ენდობა. დაბალი თანაგუნდელები მის ზურგსაც ეფარებიან, მოკლედ, დაუკაცდა საქართველოს ეს ნიჭიერი ბიჭი.

ფაჩულიამ კარგი თამაშების სერია არც „კლივლენდთან“ განყვიტა და „ქორებს“ ლებრონ ჯეიმსის „კავალერიის“ ოვერტაიმიში დამარცხებაში დაეხმარა. „ატლანტამ“ ზედიზედ მესამედ მოიგო და მთელს აღმოსავლეთში გალიდერდა.

საუუალოდ 18,3

გემი „საქართველო“ ხატილი იბადის ხონცხისხან ტოპ-პროტაქტი: აფრიკა ოთხი წლის უამდებ

გუმინ საღამოს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისა და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი შეხვედრა, რომელმაც დაახლოებით ხუთ საათს გაგრძელდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს კარგად შელამბულზელა გაეცაზურეთ...

— მორიგი სამუშაო შეხვედრა გექონდა, ასეთი შეხვედრას ნაკრების მოახლოებული თამაშების წინ ემართავთ ხოლმე.

— 15 ნოემბერს ურუგვაისთან მატჩამდე კლავს ტოპმოლეერი კიდევ ერთი შეხვედრის გამართვას აპირებს...

— ვისაუბრეთ 12 ნოემბრის შეხვედრაზეც კვირას ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ბაზაზე კლავს ტოპმოლეერი ქართული კლუბების ხელმძღვანელებს და მწვრთნელებს შეხვედრა.

— ასეთი შეხვედრის გამართვა ტოპმოლეერის ინიციატივაა?

— ეს ჩვენი ერთობლივი წამოწყებაა. ასეთი ღონის სპეციალისტი იმისთვისაც მოიწვიეთ, რათა თავისი ცოდნა ქართველ მწვრთნელებსაც გადასცეს. ამ შეხვედრაზე ბევრი საინტერესო რამ გადაწყდება, იქნება გარკვეული ნოვაციები... შეხვედრის შემდეგ ალბათ პრესკონფერენცია გაიმართება და ამ ნოვაციების შესახებ ყველანი გაიგებთ.

— ერთ-ერთი ნოვაცია მეორე ნაკრების შექმნა იქნება?

— მეორე ნაკრები გარკვეულწილად უკვე არსებობს. წლეულს ვითამაშეთ მალტის ტურნირზე, შემდეგ ორი გუნდით წავედით ალბანეთში ამხანაგური მატჩებისთვის, გერმანიაშიც ბევრი ფეხბურთელი წავიყვანეთ და ვითამაშეთ როსტოკის „ჰანზასთან“. ყველა ეს ღონისძიება ემსახურება იმას, რასაც უნდა ემსახუროდეს მეორე ნაკრები. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება — 6 თებერვალს თურქეთის ნაკრებს შევხვდებით.

— დღეს „ინფორმის“ წარმომადგენელს ვესაუბრეთ და გვითხრა, თუ რა ვადით გაგვარძელეთ კონტრაქტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, კონფიდენციალურია...

— აბრლიში „ინფორმის“ წარმომადგენელი კლავს ანდერსი გვეწვია და კონტრაქტი 2013 წლამდე გაგვარძელეთ. ასე რომ, ხელშეკრულების განაგრძლივებაში ეს იგულისხმებოდა, ახალი კონტრაქტი „ინფორმთან“ არ გაგვიფორმებია...



იხილეთ მესამე გვერდი

გადარი კამერალაშის ფოტო

ტოპ-პროექტი: აფრიკა ოთხი წლის შედეგ

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის აქტუალური ვახდა კომერციული მომენტები — არგენტინის და ბრაზილიის ნაკრებებთან ამხანაგური მატჩების ჩატარებაზე მუშაობა ხომ მხოლოდ სპორტულ მხარეს არ მოიცავს...
 — რა თქმა უნდა, ასეთი ნაკრებებთან თამაშს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ასეთი მატჩების გამართვა იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უკვე განვითარების ახალ საფეხურზე აღის. თუ ადრე ასეთი რამ მხოლოდ ილუზია იყო, დღეს აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ.
 — რამდენიმე ხნით წასული იყავით საქართველოდან და თქვენ არყოფნაში ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე უსიამოვნო ფაქტი მოხდა. კვლავ წამოიწია მსაჯების თემა. იყო კრიტიკა მსაჯის მხრიდან ხელმძღვანელობის მისამართით და ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ჩვენი ერთ-ერთი ცნობილი მსაჯი, ფაქტობრივად, არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა...

— ამ პროცესებს მოეწევა. ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანებთან და არა რობოტებთან და შეცდომები გამოირიცხვება არ არის. მთავარია, შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.
 — ქართულ ფეხბურთში კორუფციის დონე მინიმუმამდე დაეცა — შეგიძლიათ, ასეთი თამაში განცხადება გააკეთოთ?
 — შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ თუ ადრე ყველა ღიად ლაპარაკობდა მსაჯთა კორუფციაზე, ახლა ეს თემა დასრულებულია. მეამაყება, რომ ეს უმოკლეს დროში მოვახერხებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ამ მხრივ სიფრთხილე აღარ გამოვიჩინოთ.
 — ეროვნული ნაკრების თემას დაეუბრუნდეთ — ბოლო მატჩებში გუნდმა წარუმატებლად რომ ითამაშა, ამაზე რას იტყვიან?
 — შესარჩევ ვაკუუმში ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი მოვიგეთ, წავაგეთ იტალიასთან და საფრანგეთთან, რომლებთანაც წლებუდელ ზაფხულში მთელმა მსოფლიომ წააგო. მიუხედავად მარცხიანი დასაწყისისა,

არჩეული გზის სისწორეს ვხედავთ. ვიდეოანალიზის სისტემამ კარგად დაგვანახა, როგორ ასრულებენ ტაქტიკურ დავალებას ჩვენი ფეხბურთელები იტალიასთან მატჩში — ამას ისე აკეთებდნენ, ადრინდელთან შედარებაც კი არ არის, ტაქტიკურად ჩვენმა ნაკრებმა აშკარად მოუმატა.
 — ტოპმოლერს მიმდინარე ციკლის დასრულებისთანავე უმთავრდება კონტრაქტი და ითქვამს, რომ ხელშეკრულების გაგრძელება მიმდინარე შესარჩევი ციკლის შედეგზე იქნება დამოკიდებული — ისე ხომ არ გამოდის, რომ ტოპმოლერს დროის კრედიტი, ფაქტობრივად, აღარ დარჩა?
 — ტოპმოლერთან 2+2 კონტრაქტი გვაქვს და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საქართველოს ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს. ტოპმოლერი საშველიშვილო საქმეს აკეთებს ჩვენი ქვეყნისთვის და მას არანაირი შეზღუდვები არ ექნება.
დავით თავართქილაძე



საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმოლერი პრესკონფერენციას გამართავს.
ტოპი სპალ იტალიის
 15 ნოემბერს მისი გაწვრთნილი საქართველოს ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში ურუგვაის ეროვნულ გუნდს ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს და პრესკონფერენციის მთავარი თემაც ალბათ ეს უნდა იყოს.
 კლაუს ტოპმოლერის საურუგვაილი სიდიდან ორი ტრავმიანი ფეხბურთელი ამოვარდა: კახა კალაძე და დავით მუჯირი. ტოპმოლერმა მათ ნაცვლად შესაძლოა, არავის უხმოს, ხოლო თუ მათ შემცვლელებს გამოიძახებს, ამას ხვალინდელ პრესკონფერენციაზე იტყვის.
დავით თავართქილაძე



ფედერაცია-ინფორმტი მარსხენა ნახეპარსფეროსას გაღასნვდნენ



— რა სტადიაზე არგენტინასთან მოლაპარაკებები?
 — ჩვენ, რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი ვართ ამ პროექტით და აქტიურად ვმუშაობთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ხელმოწერილი ჯერ არაფერია.
 — რაზე დამოკიდებული ამ პროექტის განხორციელება?
 — ვფიქრობთ, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა — მოლაპარაკება დიდი ხნის დაწყებული არ არის.
 — თქვენ არგენტინულ მხარესთან აწარმოებთ მოლაპარაკებას?
 — არა მხოლოდ მათთან. მოლაპარაკებას ყველა მხარესთან ვაწარმოებთ.

მარტინ როსი ყველა მხარეს ელაპარაკება
 გვესტუმრება თუ არა გაისად თბილისში არგენტინის ნაკრები საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის გასამართად? — ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება. მოლაპარაკებები მხოლოდ საქართველოს და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციებს შორის როდი მიმდინარეობს, პროცესში ჩა-

ბმულია შუამავალი სააგენტო და კომპანია „ინფორმტი“, რომელიც ჩვენი ნაკრების საშინაო მატჩების ტელეტრანსლაციის უფლებებს ფლობს. ამ კომპანიის ერთ-ერთი ოფისი ლიხტენშტაინშია და სწორედ იქ დავუკავშირდით „ინფორმტის“ წარმომადგენელ მარტინ როსს...
 ფედერაცია საიმედო პარტნიორია, ჩვენ ერთმანეთთან ღია და პატიოსანი ურთიერთობა გვაქვს.
 — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გა-

გრძელებას არ აპირებთ?
 — ამ ცოტა ხნის წინ ჩვენ უკვე გაავარდელეთ ხელშეკრულება. ამის თაობაზე შეგიძლიათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდ-

ენტს და გენერალურ მდივანს მიმართოთ.
 — რა ვადით გაგრძელდა კონტრაქტი?
 — ეს ჩვენი მხრიდან კონფიდენციალურია.
 — ყველაზე უფრო რაზეა დამოკიდებული ასეთი ტიპის კონტრაქტის გაფორმება?
 — აქ რამდენიმე ფაქტორია. გარდა იმისა, რა ვაკუუმში მოხვდება გუნდი და რა წარმატებები აქვს, გასათვალისწინებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც. ასეთი კონტრაქტისას რისკზე მივიღებთ და ბევრ რამეს ვაქცევთ ყურადღებას.
დავით თავართქილაძე

არგენტინას და ბრაზილიას? რატომაც არა...

საქართველოს ნაკრების თამაშში პროგრესი შეიმჩნევა, თუმცა შედეგი არ ჩანს — ასეთია უმრავლესობის აზრი, რასაც ბუნებრივად მოჰყვება იმედი: თუ ხარისხი ჩანს, შედეგიც მოვა.
 ერთი სიტყვით, ბოლო ხანს ნაკრებს უარყოფითი გარდა ბევრი პოზიტიურიც ჰქონდა, მათ შორის, ძლიერ ნაკრებებთან სპარინგ-მატჩების ოდენობის გაზრდა.
 ჯერ გერმანია, 15 ნოემბერს ურუგვაი, გაის თებერვალს თურქეთი და... გეცოდინებათ, 12 სექტემბერს უკვე არგენტინის ან ბრაზილიის ნაკრებების ჩამოსვლაზეცაა ლაპარაკი — ამ საკითხზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივან უჩა უბულაძეს ვესაუბრეთ...
 — არგენტინასთან უკვე თარიღზე შეეთანხმდით. 12 სექტემბერს ისინი ჯერჯერობით სხვა ამხანაგურ თამაშს არ გეგმავენ. ამჟამად ვმუშაობთ სპონსორების მოძიებაზე, რომელთა მეშვეობით არგენტინელთა ჩამოყვანა მოხერხდება.
 — კონკრეტულად რომელ კომპანიასთან აწარმოებთ მოლაპარაკებებს?
 — სხვადასხვა კომპანიებია და, იმედია, შეთანხმებას მივალწევთ.
 — რა თანხა ჯდება არგენტინის ნაკრების ჩამოყვანა?
 — მილიონი დოლარის ფარგლებში. აქ ბევრი ნიუანსია და ყველაზე მთავარია, რამდენს გადაიხდიან სატელევიზიო კომპანიები ტელეტრანსლაციაში. წესით, ერთ კვირაში ეს გვეცოდინება.
 — ბრაზილიის ნაკრების ჩამოსვლის ვარიანტზე სიახლე არ არის?
 — ბრაზილიის ჩამოყვანა 22 აგვისტოს გვინდა. აქაც იგივე საკითხებია გადასაჭრელი, რაც არგენტინასთან მიმართებაში.
 — ანუ შესაძლოა, არგენტინაც

უჩა უბულაძე: ბოლო პასუხი ერთ კვირაში გვეცოდინება

ჩამოვიდეს და ბრაზილიაც?
 — ღია.
 — ურუგვაის ნაკრებზეც ვთქვით: რამდენკაციანი დელეგაცია ჩამოჰყავთ და სად დაბინავდებიან?
 — ურუგვაელები 13 ნოემბერს ჩამოვლენ, „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდებიან და 15-ში თამაშის შემდეგვე გაემგზავრებიან. დელეგაცია 30-კაციანია. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენების ვარჯიშები 13 და 14 ნოემბერს იქნება...
ილია ნანოუაშვილი






პადრი კატილიანი ფოტოები



ვეფხია ტარულაშვილი



დავით ბურდული



ვასილ არულაშვილი

ჯემალ მახარაშვილია ხელები მართლა დაიბანა კახეთი მოთაფში ტრიუმფირატს ჩაბარდა

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის თერთმეტი ტურის შემდეგ თელავის „კახეთს“ ერთადერთი ქულა აქვს. ბოლო ტურში კახელებმა შინ „ბორჯომთან“ წააგეს — 0:2.

„ხელებიც დამიბანია“ — ვანაცხადა ამ მარცხის შემდეგ „კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა. ხელების დაბანისა რა მოვასხენოთ, მაგრამ მახარაშვილმა ბარგი რომ ჩაალაგა და გუნდი დატოვა, ფაქტია.

ჯემალ მახარაშვილი გუნდის წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს...

— როდესაც შედეგი არ არის, მწვრთნელმა გუნდი უნდა დატოვოს.

— ესე იგი, თქვენი სურვილით წახვედით?

— დიახ. ეს ჩემი სურვილი იყო, თუმცა ყველაფერი მაინც კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა.

— „ხელებიც დამიბანია“ — ეს ფრაზა „ბორჯომთან“ წაგების შემდეგ თქვით. გამოდის, პასუხისმგებლობას თქვენს თავზე იღებთ...

— რომ ვითხრათ, კლუბში იდეალური მდგომარეობა იყო, მართალი არ ვიქნები.

ელემენტარული პირობებიც კი არ გვექონდა, თუმცა იყო წმინდა საფეხბურთო შეცდომებიც, რის გამოც გუნდი ახლა ამ მდგომარეობაშია. მე კი პასუხისმგებლობას არ გავუბრუნებარ.

რა შეიცვლება თელავის „კახეთში“ ჯემალ მახარაშვილის წასვლის შემდეგ? კლუბის პრეზიდენტ გოჩა მამაცაშვილთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, თუმცა ამ კითხვაზე კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა როსტომაშვილმა გვიპასუხა...

„ჯემალ მახარაშვილმა კლუბი თავისი სურვილით დატოვა. ამ ეტაპზე გუნდში რე-

რვანიზაცია მიმდინარეობს. სავარაუდოდ, „კახეთს“ ფეხბურთელები გაწვრთნიან — ფუნქციებს ვასილ არულაშვილი, დავით ბურდული და ვეფხია ტარულაშვილი გადანიჭავენ.

კახელებმა მწვრთნელის საქმე კი „მოაკვარეს“, მაგრამ ჯემალ მახარაშვილი კლუბიდან წასვლამდე მუდმივად უფინანსობაზე რომ საუბრობდა, ესეც ფაქტია. საიდან ვაჩნდება ფინანსები „ტრიუმფირატის“ მოსვლის შემდეგ და შეძლებს თუ არა „კახეთი“ ეროვნული ჩემპიონატის ჩამოთვრებას? ეს კითხვები კერძო უპასუხოდ რჩება...

მიხეილ შორჟოლიანი

მოსკოვური ბარანტიცა და კენჭი



20-28 იანვარს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებისა და ბალტიისპირეთის ჩემპიონთა „თანამეგობრობის თასის“ მე-15 გათამაშება გაიმართება. საქართველოდან მოსკოვში ბოლნისის „სიონი“ გაემგზავრება. რუსეთისა და საქართველოს ბოლოდროინდელი „ტკბილი“ ურთიერთობის გამო ბოლნისელთა ამ ტურნირში მონაწილეობა სათუო იყო, მაგრამ რუსულმა მხარემ ქვემოქართელებს

მყარი გარანტიები მისცა და „სიონიც“ დათანხმდა.

ერთი სიახლეც: აქამდე უკონკურსოდ მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ნაცვლად „თანამეგობრობის თასზე“ სერბეთის ჩემპიონი ითამაშებს.

გუშინ გაიმართა ტურნირის ჯგუფების კენჭისყრა და „სიონი“ D ჯგუფში მოხვდა. ბოლნისელთა მეტოქეები სერბეთის, თურქმენეთის და ლიტვის ჩემპიონები იქნებიან.

სხვა ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ: A ჯგუფი — რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, ტაჯიკეთი; B ჯგუფი — აზერბაიჯანი, მოლდოვა, ესტონეთი, ყირგიზეთი, C ჯგუფი — უკრაინა, ლატვია, სომხეთი, უზბეკეთი.

შეგასწავნებთ: 2004 წელს თბილისის „დინამო“ ხორვატი ივო შუშაკის თავკაცობით ტურნირის გამარჯვებული გახდა.

მიხეილ შორჟოლიანი

წარუმატებელი სტარტის შემდეგ „ხესტაფონის“ ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელად ისევ თემურ მახარაძე დააბრუნა და ალბათ არც ნანობს — მახარაძის ხელში გუნდმა თავისი თამაში იპოვა და ქულები მხოლოდ პირველადგილოსან „ამერთან“ დაკარგა.

იმერული კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ახალგაზრდა გომი ფიფიბა ითვლება. ხესტაფონელთა 21 წლის შემტევს ეროვნულ ჩემპიონატში უკვე ხუთი გოლი მოუგროვდა და რამდენიმე ფეხბურთელთან ერთად ლიდერობს ბომბარდირთა დავას...



გ. შურაბა დოღუნევაშვილი ფოტო

ბომბარდირობა კი არა, ტიფული მიხდა

— მახარაძის დაბრუნების შემდეგ თამაშს აშკარად მოუმატეთ...

— მახარაძისთვის „ხესტაფონი“ კარგად ნაცნობი გუნდია. მანამდე ხომ ორი სეზონი ჩვენს გუნდში მუშაობდა და ფეხბურთელებს მშვენივრად იცნობს. მან სხვებზე უკეთ იცის, როგორ უნდა გამოიყენოს ნებისმიერი ჩვენგანის პოტენციალი. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ გუნდმა თავისი თამაში იპოვა.

— გუნდთან ერთად შენც აშკარად მოუმატე. ახლა ოპტიმალურ ფორმაში ხარ?

— ოპტიმალური ფორმისგან ჯერჯერობით შორს ვარ, თუმცა ბოლო ორი ტურია, თამაში აშკარად მიმდის. ვფიქრობ, მალე კიდევ უფრო მოვუმატებ.

— გოლებსაც მოუხშირე. ბომბარდირობას ხომ არ უმიზნებ?

— მთავარია, გუნდმა მოიგოს და გადაწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, გოლებს მე გავიტან თუ სხვები.

— როგორც თითქმის ყველა, შენც უცხოეთში წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?


— ამ ეტაპზე „ხესტაფონს“ ვეკუთვნი და ძალიან მინდა, ამ გუნდთან ერთად რაიმე ტიტული მოვიგო, შემდეგ კი ვნახო...

მიხეილ შორჟოლიანი

II ნოემბერს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯეთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ დაასახელა ის მსაჯეები, რომლებიც ამ თამაშებს მოემსახურებიან

<p>A ჯგუფი</p> <p>სპარტაკი — ამერი</p> <p>ო. ხეცაძე; ა. გუნთაძე, გ. ჩიგოგიძე; ლ. ფანიშვილი</p> <p>კახეთი — ზანტაფონი</p> <p>ა. კრიჭავიძე; ბ. ჭიჭინაძე, დ. სანოძე; ლ. სილაგავა</p>	<p>C ჯგუფი</p> <p>ნორჩი დინამოეი — დინამო</p> <p>ვ. გუმბერიძე; ი. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია</p> <p>ჩინურა — ოლიმპი</p> <p>ლ. კვარაცხელია; გ. დოგრაშვილი, ზ. სუციშვილი; გ. კიკაძეშვილი</p>
<p>B ჯგუფი</p> <p>მისხეთი — ვიტ ჯორჯია</p> <p>დ. ხარტიონაშვილი; ხ. გაგნიძე, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი</p> <p>პორჯომი — ტორაქაქო</p> <p>მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე, მ. ქუხილაძე; ვ. ელისაბედაშვილი</p>	<p>D ჯგუფი</p> <p>მეზაძე — სიონი</p> <p>ა. ნონიკაშვილი; თ. ხუჭუა, ზ. ჯვარიძე; დ. სანაია</p> <p>გათუში — მირანი</p> <p>კ. ჭაჭუა; კ. ბერაძე, მ. ნაკაიძე; პ. დოგრაშვილი</p>

ანელოტის მოხსნის თემა გაიხსნა



ბერლუსკონის სია: მან ბასტენი, ლიპი, სპალეტი

„მილანის“ მწვრთნელ კარლო ანელოტის ამ სეზონში გუნდის ცუდი თამაშის გამო კრიტიკა არ აკლია და უკვე მის მოხსნაზეც ალაპარაკდნენ. გასულ უქვეებზე „ატალანტასთან“ წაგებული მატჩის შემდეგ მან ისიც თქვა, მსაჯები ჩვენს საზიანოდ ზედმეტად ბევრ შეცდომას უშვებენ, აპელაციის განაჩენით ერთადერთი კლუბი ვართ, რომელსაც მინუს ქულები არ დააკლეს და მეჩვენება, თითქოს, ჩვენს წინააღმდეგ შეთქმულებას აქვს ადგილი.

ამით მან „პალერმოს“ პრეზიდენტის მარკო დამპარინისა და „სამპდორიას“ შეფის რიკარდო გარონეს წყრომა გამოიწვია. აღრე ჩვენ და სხვა კლუბები რომ ვინაგრებოდით, ხმას არავინ იღებდა და ახლა რამდენიმე შეცდომაზე ერთი ამბავი ატყდა. მათ ისიც თქვეს, იმედია, სამართლიანი მსაჯობა გავრძელებს და გრანდებს აღარ დაეხმარებიან.

კარლო ანელოტი: „გაზთებში ბევრ ტყუილს წერენ და ივინებენ. მე არ მი თქვამს, რომ შეთქმულებას გვიწყობენ. უბრალოდ, აღვნიშნე, რომ მსაჯები ბევრ შეცდომას უშვებენ, ამ სეზონში უკვე რამდენიმე პენალტი არ დაგვინიშნეს და ეს არ გესიამოვნებდა. ახლა მართლაც რთული პერიოდი გვიდგას და ფსიქოლოგიური პრობ-

ლემებიც გვაქვს, მაგრამ ამ ყველაფერს მე დღეებში უნდა შევხვდეთ და ვითარება გამოვასწოროთ. გარონესა და დამპარინის რაც შეეხება, რა უნდა ვუთხრა მათ? რამე რომ ვთქვა, გაუხარდებათ. ეს საკითხი დახურულია და კომენტარების კეთებას აღარ ვაპირებ“.

„ატალანტა“ — „მილანის“ მატჩის მსაჯი ტიციანო პიერი კი შეხვედრისას დაშვებული შეცდომების გამო ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„მილანის“ ადვოკატი ლეანდრო კანტამეზა: „პიერიმ მართლაც დაუშვა შეცდომები, ეს ყველა მსაჯს მოსდის, თუმცა ჩვენ განგაში როდის ავტეხეთ. არც მისი დასჯა გვითხოვია, უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნეთ. ვწუხვარ, რომ მან დისკვალიფიკაცია მიიღო“.

კანტამეზამ კიდევ ერთხელ გაილაშქრა კალაბრიის წინააღმდეგ და თქვა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გასული სეზონის სკუდეტო „ინტერს“ რომ გადასცეს, უსამართლობაა. ამან კი „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი განარისხა.

„ეს სულელური განცხადება იყო. მით უმეტეს, კაცი, რომელიც კანონებში კარგად ერკვევა, ამას არ უნდა ამბობდეს. სკუდეტო დამსახურებულად გადმოგვცეს და ჩვენი გულშემატკივრები ამით ძალიან უნდა ამაყო-

ბდნენ. ყველაფერი იმის გაძლება ადვილი არ იყო, რასაც ჩვენ ბოლო წლებში გავუძელით და სხვა კლუბებს სურთ, თავი მსხვერპლებად მოგვანჩონონ. მე მგონი, ზოგს უკვე დაავიწყდა, თუ რა მაქინაციებსა და ჩაწყობებს ჰქონდა ადგილი, რომლებშიც, ბევრისგან განსხვავებით, ჩვენ არ გავრუულვართ“ — თქვა მორატი.

ამას მალევე მოჰყვა კანტამეზას პასუხი: „ისიულებზე მე ნამდვილად არ მი თქვამს. მორატიმ კი სწორად ვერ გაიგო ჩემი სიტყვები. მასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს და არ ვიცი, ასე რამ გააბრაზა. უბრალოდ, წინა სეზონის სკუდეტოზე სხვადასხვა აზრი გვაქვს. ვთვლი, რომ მისი „ინტერისთვის“ გადაცემა სწორი არ იყო“.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი: „ჩვენ არ გვითქვამს, რომ პიერი ვინმესგან დარიგებული იყო, რომ ჩვენთვის პენალტი არ დაენიშნა. ეს უბრალო შეცდომა გახლდათ, რაც აღვნიშნეთ. პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისაც ვესაუბრე და იგი ჩემ აზრს იზიარებს. მართალია, ჩვენს საზიანოდ ბევრ შეცდომას უშვებენ, მაგრამ ამით თავის მართლებას სულაც არ ვცდილობთ. „მილანი“ ჯერ სათანადოდ ვერ თამაშობს და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს — მუნდიალის მერე რამდენიმე ფეხბურთელი გადა-

ღილი იყო და ფორმა ჯერ ვერ აღიდგინა. მინუს რვა ქულაც არ დაგვაკვიწყდეს. კალაბრიის განაჩენის გამო ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე დამატებითი მატჩების გამართვა მოგვიხდა და ასე შემდეგ. თუმცა გვჯერა, ძალებს მალე მოვიკრებთ და ყველაფერი გამოსწორდება. დიდი პოტენციალი გვაქვს და მხოლოდ კაკაზე დამოკიდებული ნაღდად არ ვართ“.

ბოლოს კი იტალიური მედიის მიერ გუგის გავრცელებულ ცნობაზე ვთქვათ: მართალია, კარლო ანელოტის „მილანთან“ კონტრაქტი 2008 წელს ეწურება, მაგრამ ვინა ტურატის კლუბის ოფისში, თურმე უკვე ალაპარაკდნენ მის მოხსნაზე. ანელოტის სავარაუდო შემცველად სამი კანდიდატი სახელდება — მარკო ვან ბასტენი, ამჟამად ჰოლანდიის ნაკრების თავკაცი და წარსულში „მილანის“ ლეგენდარული თავდამსხმელი, „რომას“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი და მარჩელო ლიპი, მუნდიალზე იტალიის ნაკრების გამწვრთნელი კაცი, რომელიც ახლა უმუშევარია. ბერლუსკონის ფავორიტი ვან ბასტენი ყოფილა, ხოლო ადრიანო გალიანის „როსონერის“ სამწვრთნელო სკამზე ლიპის ხილვა სურს.

გიორგი ბაბაბაძე

ადრიანო, ნადი ინტერშიდან

ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ, რომელიც ახლა მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ სამხრეთ აფრიკას უდგას სათავეში, თანამემამულეებს ადრიანოსა და რონალდოს კლუბების გამოცვლა ურჩია.

„კონფედერაციის თასზე და კოპა ამერიკაზე ჩინებული თამაშის შემდეგ ადრიანო ფორმიდან ამოვარდა და მსოფლიოს ჩემპიონატშიც ამიტომ ჩაავლო. იგივეს ვიტყვი რონალდოზეც. ორივე მათგანს სტიმული აკლია. დიდი ხანია, ადრიანო „ინტერშია“ და ცვლილებების დროა. ვფიქრობ, სხვა კლუბში გადასვლა მას ერთობ წაადგება. ეს რონალდოსაც ეხება. კარგი იქნება, თუ იგი პრემიერლიგაში მოსინჯავს ძალებს. ორივემ ძველებური ფიზიკური კონდიციები უნდა დაიბრუნოს და ყველაფერი რიგზე იქნება. თამაში არავის ავიწყდება — პრობლემა მხოლოდ მოტივაციის არქონაშია“ — განაცხადა პარეირამ.

შეგახსენებთ, რომ ადრიანო, რომელიც ცოტა



ხნის წინ ძალების აღსადგენად და დასასვენებლად ერთი კვირით სამშობლოში გაუშვეს, „ინტერს“ დაუბრუნდა და ვარჯიში განაახლა. მას „ნეროპურიში“ დარჩენა უნდა და იმდევნებს, რომ სულ მალე ძველებურად ათამაშდება. „იმპერატორს“ მილანური კლუბის მასურით ოფიციალურ შეხვედრებში შვიდ თვეზე მეტია, გოლი არ გაუტანია.

მამა, ალიმენტი გადაიხსნა რონალდინიოს უფილამ ვალი დაადო

„ბარსელონას“ ბრაზილიელ რონალდინიოს ალიმენტის გადახდა დააკისრეს. 26 წლის ფეხბურთელს რამდენიმე წლის წინ არცთუ დიდი ხნის მანძილზე რომანი ჰქონდა მოცეკვავესთან, ვინმე ჟანინა ნატიელი ვანა მენდესთან. შედეგად, 2004 წელს რონალდინიოს ვაჟი გაუჩნდა, რომელსაც მისი მამის საპატივცემულოდ ჟუანი დაარქვეს.

როგორც ჩანს, რონალდინიო ვაჟის აღსაზრდელად სათანადო თანხას არ იხდოდა და ჟანინა მენდესმა, რომელიც ბრაზილიაში ცნობილ ტელეგადაცემაში „კვირა ფაუსტანოსთან ერთად“ მონაწილეობს, მას უჩივლა. ფეხბურთელს ყოველთვიურად 9,4 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითია და თანხა შესაძლოა, გვარიანადაც გაიზარდოს, მას მერე, როცა რონალდინიოს შემოსავლებს დაწვრილებით შეისწავლიან.

რონალდინიო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და მისი შემოსავალი თვეში დაახლოებით 6 მილიონ დოლარს შეადგენს. ბრაზილიური კანონების მიხედვით კი, შვილს მამის შემოსავლის 15-დან 40 პროცენტამდე ეკუთვნის.





ზიზუოპა ბანგლადეში

ბანგლადეშელი სოფლები გადაირივნენ. როგორია, მათ საფეხბურთო ღმერთების საუფლოდან ზინდენ ზილანი ეწვიათ და ექსპრომტად ფინტებიც აჩვენა.

სოფელი, რომელზეც მოგახსენებთ, დედაქალაქ დაკასთან ახლოსა და კამარ ბუსილა ჰქვია, ხოლო ხალხი, რომელთან შესახვედრადაც ზიზუ მორეულ აღმოსავლეთს ჩაბრძანდა, ყოფილი მათხოვრები გახლავან. მათ ნობელიანტ მუჰამად იუნუსის „გრამენ ბანკის“ წყალობით თავიანთი ცხოვრება შეცვალეს.

„ზილანი ჩემი კერაა. რას წარმოვიდგენდი, რომ მას ცოცხლად არათუ ვნახავდი, არამედ ეს ჩემს სოფელში მოხდებოდა“ — თქვა ხის კენჭროზე შემოძვდარმა 16 წლის ზაქირ ჰუსეინმა.

ცნობისთვის: ბანგლადეშში ძირითადად მუსლიმები ცხოვრობენ.

„მე კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ათასობით კილომეტრის გადაღმა, ერთ პატარა სოფელში ხალხს ეცოდინებოდა, ვინ ვარ მე“ — განუცხადა ზიზუმ ერთ-ერთ კერძო სატელევიზიო არხს.

ხოლო, ყოფილ მათხოვართა გამოსწორების პროცესი ასეთია: 50 წლის რაჰიმა ახტერი ქმრის გარდაცვალების შემდეგ 1976 წლიდან მათხოვრობით ირჩენდა თავს, იუნუსის პროგრამით კი, 2003 წელს შესაძლებელი გახდა, 50 ტაკა ანუ 7 დოლარი ეხესხა და კარდაკარ კბილის პასტებისა და შამპუნის დატარების ბიზნესი წამოეწყო.

AFP ვიდეორეპორტაჟი



სარბიელი

საორტული გაზეითი

გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შონიძე
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი პასა შალვაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,
კობა ინასარიძე, ილია ნაწარმაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პასა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვაო ახვლედიანი,
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიძე, გიორგი ვაშაძე

ვიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორბი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაა ახალაძე, ავიანდელ გურასაშვილი,
ოთარ მაღლაკლიძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე, ირაკლი ფრანკო
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია,
ზათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალისძე, მაგდა დოგრაშვილი,
რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსაშვილი, თამარ ქინქილაძე, ზურაბ
წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ჭავჭავაძის გამზირი 42, II
ქორპუსი, IV სართული.
საზვოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საზვოსტო
ქუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებ-საიტი
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სახელის ნომერი: 38-11-14, 877 54 55 00